

ახალი წყალობა სუვორინისა

(1896 წელი, გაზეთი „ივერია“)ხ

ბ-ნი სუვორინის გაზეთი „ახალი დრო“ ქართველებს ძლიერა სწყალობს. სულ იმის ზრუნვაშია, რომ გაგვამდიდროს რუსი მოხელეებით...

ამას წინათ ამ ლაღმა გაზეთმა არც აცია, არც აცხელა და თამამად გამოსთქვა ის აზრი, რომ ქართველს სახელმწიფო გლეხებს მეტი მამულები უნდა მოვუჭრათ, ჩამოვართვათ და რუსეთიდან იქ გადავასახლოთ რუსი გლეხებიო...

და აი ბ-ნი სუვორინს მოუწადინებია, რათა თხელი უფრო კიდევ გაათხელოს, და მჭიდრო უფრო კიდევ გაამჭიდროვოს.

მართლა და რუსს გლეხებს თავისს უფართოესს ქვეყანაში ერთიხუთად მომატებული მამული აქვთ, ვიდრე ქართველს გლეხებს საქართველოში. ისინი ხალვათად დგანან ძლიერ და მოკლებულნი არიან იმ სივიწროვეს, იმ ნაკლებულობას მიწისას, რომელიც ჩვენებურს გლეხს სულს უხუთავს, ნებას არ აძლევს მიწურს ქოხს თავი დაახწიოს, ზევით მზის შუქზედ ამოვიდეს და ცოტა ადამიანურად იცხოვროს, სილატაკეს მეტ-ნაკლებობით თავი დაახწიოს, ვალი შეიმციროს...

მაგრამ აქ მარტო ეკონომიური უდიერობით როდი თავდება საქმე. ისტორიული და იურიდიული უსამართლობაც ზედ ემატება.

საქმე ის არის, რომ საქართველოს ისტორიაში ვერც ერთს მაგალითს ვერ შეხვდებით, რომ სახელმწიფო გლეხს ჩამორთმეოდეს თუნდა ერთი ადლი მიწა, თუ არა დანაშაულობისთვის. გარნა ქართველს სახელმწიფო გლეხებს, ისეთვე ერთგულებს, სხვა ქართველებისათვის, თავისი მეფის ხელმწიფე იმპერატორისა, როგორც რუსი გლეხები, მხოლოდ ის დანაშაულობა მიუძღვით სუვორინის წინაშე, რომ ღმერთმა ისინი ქართველებად გააჩინა. მაგრამ ასეთი გაჩენა მხოლოდ მაშინ იქნება აღიარებული დანაშაულად, როდესაც ბ-ნი სუვორინი დაამტკიცებს, რომ ღმერთს დიდი შეცდომა მოუვიდა, როდესაც ყველა რუსებად არ დაბადა და ქართველ ერსაც მისცა ქვეყანაზედ ადგილი.

დიახ, ქართველს სახელმწიფო გლეხს ჩვენში ყოველთვის მიაჩნდა მთელი თავისი უძრავი მამული თავისს საკუთრებად, რომელსაც მას ვერავინ, თვით მეფეც, ვერ ჩამოართმევდა. ჩვენი მეფენიც ამ კანონს სასტიკად ემორჩილებოდნენ და არ არღვევდნენ მას, რათა არ შეერყიათ სამაგალითო ერთგულება მხვენელ-მთესველთა. სუვორინს-კი ეს შერყევა ფეხებზედ ჰკიდია, ოღონდ-კი თავისი სკვითური ინსტინქტი მოიკლას. მაგრამ ყველაზე გულ-ასამღვრები მხარე ბ-ნი სუვორინისა პროექტისა სხვა გახლავთ.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენში მესაკუთრე გლეხები, რომელთაც სყიდვით შეუძენიათ უძრავი მამული, ბევრნი იყვნენ და არიან. ისიც მოგეხსენებათ, რომ ამ გლეხებს ხშირად

აუტეხავდნენ ხოლმე დავი-დარაბას მემამულენი, თავად-აზნაურნი და სხვა უფრო მასზე ძალოვანი და მოსვენეცას არ აძლევდნენ. ბევრნი ამისთანა გლეხნი დაადგნენ იმ აზრსა, რომ, თუ ჩვენ მფარველი არ ვიშოვნეთ, მოდავენი დავი-დარაბას არ მოგვიშლიან და სულ ამ ტანჯვაში ვიქნებითო. ამ მფარველად მათ აირჩიეს ხაზინა და გამოაცხადეს თავისი თავი მამულითურთ სახელმწიფო გლეხებად. ესე ხდებოდა წინა წლებში, ესე ხდება ეხლაც, მეტადრე გამიჯვნის დროსა, როდესაც შეცილების შიშით უარს ამბობენ გლეხები თავისს უძრავს საკუთრებაზე და სახელმწიფოთ სდებენ მას იმ იმედით, რომ ხელმწიფე თავის დღეში არ იკადრებს მათი კუთვნილების ჩამორთმევასა. მრავალთა მაგალითთა შორის ჩვენ მოვიყვანთ ერთსა, თავის-თავად ძლიერ საინტერესოსა.

ორმოციანს წლებში სოფელ ვარიანში ამოწყდა, ამოიბუგა ერთი საბატონო გლეხი, რომლის კარ-მიდამოზედ და მამულზედ გადმოსახლდა სხვა სოფლიდან თავისუფალი სახლობა გლეხისა, გვარად სირბილაძე. ამ სახლობამ მალე შეისყიდა ეს მამული მებატონესაგან სრულ საკუთრებად, მშვენივრად გააკეთა იგი და მალე შეიქმნა მდიდარ მოსახლად, რადგანაც ვარიანმა მეტად კარგი მოსავალი იცის როგორც პურისა, ისე ღვინისა. მებატონემ მოინდომა ეს გამდიდრებული სახლობა სათლელ დუმად გაეხადნა, ისარგებლა იმით, რომ ნასყიდობა ფორმით არ მომხდარიყო და შარი უგდო, ჩემი მამული შენ არ გიყიდნია, ხიზანი ხარ, ან მემსახურე, ან ჩემს მამულს თავი დაანებეო. ასტყდა დავა, გლეხები დიდხანს იცავდნენ მხნედ თავისს უფლებასა, მთელი თავისი შეძლება მოახმარეს ამ დავასა, უფროსი მათგანი მოხუცი ტეტია სირბილაძე პეტერბურგშიც კი წავიდა ფეხითა, რადგან ეგონა, იქ ქრთამს ადგილი არ ექნებაო; მაგრამ ძალადობამ, ქრთამმა, უსამართლობამ და უდიერობამ თავისი გაიტანა. მებატონემ მოიგო საქმე, დააწიოკა გლეხები, აპყარა მამულიდან და გარეკა ღვთის ამარა. გლეხებს ძლიერ ენანებოდათ თავისი მამული, რომელშიაც იმოდენა ოფლი ჩაღვარეს და ისევ არჩიეს აელოთ ურიის ვალი და ხელმეორედ შეესყიდათ იგი კანონიერი დოკუმენტებითა. არჩიეს და ასეც მოიქცნენ. მაგრამ წარმოიდგინეთ, რა მოხდა ბოლოს და ბოლოს. ამას წინეთ გამიჯვნის დროს ეს გლეხები შიშმა აიტანა, ვაი თუ ჩვენი წინანდელი მოდავენი კიდევ წაგვედაონ, კიდევ დაგვტანჯონ, საქმე გაგვიჭირონო, და სახელმწიფოდ გამოაცხადეს თავისი თავიცა და მამულიცა და ისეც ჩააწერინეს გამიჯვნის დავთრებში. როდესაც წარსულს ოქტომბერში ვკითხე, რად ჩაგიდენიათ სულელობა, ორჯერ ნასყიდ საკუთრებაზედ რად აგიღიათ ხელი, სხვისთვის რად დაგითმიათ თქვენი მამულ-დედული, პასუხად მივიღე ეს სიტყვები: ხელმწიფეს რად უნდა ჩვენი მამული, რად იკადრებს მისს ჩამორთმევასა, პირ-იქით ისეთ მფარველად გვეყოლება, რომ დავას ველარავინ გაგვიბედავსო.

ბ-ნი სუვორინი კი არამც თუ მფარველობას არ უწევს, სამაგიეროდ ქადაგებს: ეს სამჯერ და ოთხჯერ ნასყიდი მამულები ქართველ გლეხებს ჩამოვართვათ და იქ გადავასახლოთ ჩრდილოეთიდგან ჩვენებური გლეხებით.

ჩვენ, რა საკვირველია, „ახალი დრო“-ს მოსარჯულებლად არა ვსწერთ ამ სტრიქონებსა. კარგად მოგეხსენებათ, რაც უნდა ბევრი იკითხოთ მგლის თავზე სახარება, იგი

მაინც თავისას არ დაიშლის. ჩვენ სახეში გვყავს, პირველად, ის დავი-დარაბის მოყვარე მემამულენი, რომელთაც ისე დაშინებული ჰყავს გლეხები, რომ ეს უბედურები სუვორინის მუჟიკების ლუკმად ჰხდინან საკუთრებასა; მეორედ, თვითონ ეს გლეხები, რომელნიც საარაკო გრიბულს მოგაგონებენ, იმ გრიბულს, რომელსაც წვიმისა შეეშინდა და აღელვებულს მდინარეში კი გადავარდა; მესამედ, ის აგენტები მთავრობისა, რომელნიც აბრიყვებენ მესაკუთრე გლეხებსა და გამიჯვნის დროს სახაზინოდ ადებინებენ ორჯელ და სამჯერ ნასყიდს მამულებსა. დროა შეიგნონ ჩვენმა თავად-აზნაურებმაც და გლეხებმაც, თუ რა დამლუპველი შედეგი მოსდევს მათთვის და ქვეყნისათვის პირველების უკუღმართობას და მეორების წინ დაუხედველობასა. დროა აგრეთვე თავისი წმინდა მოვალეობა ხალხისადმი შეასრულოს ნასწავლმა ქართველობამ, რომელიც წვრილმან რამეებზედ დაუსრულებელს ეპისტოლეებს სწერს და მთავარნი ვარამნი ხალხის ცხოვრებისა კი მივიწყებული აქვს, რომელიც სიტყვით დიდი მოყვარულია ხალხისა და საქმით კი იშურებს მცირეოდენ თანაგრძნობას, რიგიანს დარიგებას, ხელმძღვანელობს დიდი გაჭირვების დროსა. ხოლო რა დიდი სიკეთის მოტანა შეუძლიან ამ უბრალო დარიგებასაც კი, დავრწმუნდი ამ შემოდგომის გამიჯვნის საქმეების გარჩევის დროს გორში, სადაც მოგროვილი გლეხობა, ძლიერი მხნეობით, მოთმინებით, სინიდისით, ნამუსით და ბუნებრივი ჭკუით, სწორედ უსუსური ბავშვების გროვას მოგაგონებდა, როცა გამიჯვნის კანონებსა და კაზუსტიკას შეეხებოდა საქმე.

უარესი გაჭირვება აღარ შეიძლება. მივეშველოთ ყველა, ვისაც კი რამე შეგვიძლიან. აუხსნათ თვალები, სწორე გზა დავანახოთ, ხიფათს გადავარჩინოთ ხალხი. მადლი, დიდი მადლი იქნება. ჯერ კიდევ დრო არ დაგვიკარგავ, გამიჯვნა ახლად დაიწყო და მხოლოდ მცირედი ნაწილი გაიმიჯვნა. ბევრს გადავარჩენთ საშინელს ხიფათსა, თუ გულით მოვინდომებთ შველასა.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა

ქ. დუშეთის #2 საჯარო სკოლის მოსწავლემ **სალომე რუხიაშვილმა**

8 აპრილი, 2020 წელი

#დარჩისახლში

